



## სისტემის მუნიციპალიტეტის საპრეზულო

### განკარგულება

N 36  
04/09/2020

36-0-4-202009041221



2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად ადგილების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად, სიღნაღის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გადაწყვიტა:

1. 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნებთან დაკავშირებით სიღნაღის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის გასაკრავად განსაზღვროს შემდეგი ადგილები:
  - ა) კულტ-სახლების ფასადები და მათი კაპიტალური მესერი;
  - ბ) სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველობის საკუთრებაში (მფლობელობაში) არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, აგრეთვე მათ მიერ დაფუძნებელი იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები და მათი კაპიტალური მესერი, გარდა ამ განკარგულების მე-5 პუნქტით აკრძალული შენობა-ნაგებობებისა;
  - გ) სახელმწიფო და ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე განთავსებულ ბოძებზე 3 მეტრის სიმაღლეზე დაშვებით, მაგრამ თუ ბოძზე დამონტაჟებულია კვანძები, სადენები და სხვა ელ-მოწყობილობები, არაუმეტს ერთი მეტრის სიახლოვისა;
  - დ) სააგიტაციო მასალა შეიძლება გამოიფინოს შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში.
2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცულ იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას სააგიტაციო მასალა შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი);
4. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ადგილებში საარჩევნო სუბიექტის მიერ გასაკრავი საარჩევნო მასალის მაქსიმალური რაოდენობა ერთ საარჩევნო სუბიექტზე განისაზღვროს, ადგილის ფართობის გათვალისწინებით, არაუმეტეს 10 ცალით;
5. აკრძალულია სააგიტაციო მასალის გაკვრა საკულტო ნაგებობებზე, სახელმწიფო ხელისუფლების, ადგილობრივი თვითმმართველობის (მის: ქ. სიღნაღი და აღმაშენებელის მოედანი №2,) ასევე ტერიტორიული ორგანოების ადმინისტრაციული შენობების მათი ვაპიტალური მქანერებით, სასამართლოს (მისამართი: სიღნაღი ც.დადინის ქ.№15), პროკურატურის (მის: სიღნაღი ნ.ბარათაშვილის ქ. №1, ქწნორი რუსთაველის ქ.№32) თეატრის შენობის (მის: ქ.სიღნაღი და აღმაშენებლის მოედანი №4) ინტერიერსა და ვეჭსტერიერში, საგზაო ნიშნებზე, ასევე დაუშვებელია კენჭისყრის შენობის შესასვლელიდან 25 მეტრის მანძილზე სააგიტაციო მასალის განთავსება;
6. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედების ვადა შეწყდეს 2020 წლის 31 ოქტომბრის საქართველოს პარლამენტის არჩევნების შედეგების ოფიციალურად გამოცხადებისთანავე.

ილია ხატიაშვილი

საკრებულოს თავმჯდომარე



0417223